




იანვარი, 2021 წ.

ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*



თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- დეკემბერში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი - 7.9% შეადგინა
- იანვარში წლიური ინფლაცია 2.8%-ს გაუტოლდა
- იანვარში წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 0.3%-ით, ხოლო ევროს მიმართ 0.5%-ით გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამომყვანების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს




პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2020 წ.

1. რეალური და ფისკალური სექტორი

დეკემბერში უარყოფითი ეკონომიკური ზრდა 7.9%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.


წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2020 წლის დეკემბერში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა -7.9% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2020 წლის დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებული ტემპმა¹ 2.5% შეადგინა.




იანვარში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 2.8%-ს შეადგინა.

წინა წლის იანვართან მიმართებით, 2021 წლის იანვარში ინფლაციის დონე 2.8%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, ავეჯის, საოჯახო ნივთებისა და სახლის მოვლაზე, თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელ.ენერჯიაზე და აირზე. 2020 წლის დეკემბერში მშპ-ის წლიურმა საპროცენტო დეფლატორმა 6.1% შეადგინა.



დეკემბერში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2020 წლის დეკემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 5.2%-ით გაიზარდა, ხოლო ხარჯები -38.3%-ით. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი საოპერაციო სალდო (მთავრობის დანახოგები) 335.1 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო 1,011.3 მლნ ლარით განისაზღვრა.




¹ წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის განლიურებულ მაჩვენებელს.

დეკემბერში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს.

წინა წლის დეკემბერთან მიმართებით, 2020 წლის დეკემბერში კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 20.3%-ით მოიმატა და 37.4 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 19.0%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 21.3%-ით გაიზარდა.

ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები




2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

იანვარ-დეკემბერში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, შემცირდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.

წინა წლის იანვარ-დეკემბერთან შედარებით, 2020 წლის იანვარ-დეკემბერში ექსპორტი 12.0%-ით, ხოლო იმპორტი 15.9%-ით შემცირდა, რაც ძირითადად სავაჭრო ბრუნვის შემცირებით არის გამოწვეული. ამ პერიოდში ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.5%-ით განისაზღვრა. ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ჩინეთში (113%-ით), ესპანეთსა (82%-ით) და შვეიცარიაში (29%-ით). ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტი სომხეთში (57%-ით), აშშ-ში (40%-ით), აზერბაიჯანში (13%-ით) და რუსეთში (11%-ით).


საქონლით საგარეო ვაჭრობის მარკენებლები იანვარ-დეკემბერი



დეკემბერში ფულადი გზავნილები გაიზარდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2020 წლის დეკემბერში ფულადი გზავნილები 15.9%-ით გაიზარდა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 42.5%), რუსეთი (20.4%) და აშშ (11.2%) წარმოადგენენ. საანალიზო პერიოდში გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანიდან (160%), უკრაინიდან (195%-ით), გერმანიიდან (61%-ით), აშშ-დან (35%-ით) და იტალიიდან (33%-ით). ხოლო რუსეთიდან შემცირდა (7%-ით).


ფულადი გზავნილები იანვარ-დეკემბერი



2021 წლის იანვარში საერთაშორისო რეზერვებმა 4,102 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2021 წლის იანვარში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 4,102 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ანუ 2020 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 17.8%-ით გაიზარდა, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი - 4.9%-ით. ვალუტის გაუფასურების საპასუხოდ 2020 წლის დეკემბერში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციებით 49.8 მლნ აშშ დოლარი, ხოლო 2021 წლის იანვარში კი 80 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

მთლიანი საერთაშორისო რეზერვები




3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასის ზრდის ტრენდი შენარჩუნდა.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2020 წლის დეკემბერში სარეზერვო ფულის მასა 20.8%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 18.8%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 24.6%-ს გაუტოლდა. დეკემბერში წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 2.4% შეადგინა.


ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
%-ლი ცვლილება



დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, შემცირდა როგორც დეპოზიტებზე, ისე სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი.


2020 წლის დეკემბერში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 1.4%-ული პუნქტით შემცირდა და 62.8%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.7%-ული პუნქტით შემცირდა და 55.5% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, 2020 წლის დეკემბერში ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 9.4%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა კი - 3.1%-ით.

დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი




დეკემბერში, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე არ შემცვლილა, ხოლო სესხებზე 0.6%-ული პუნქტით შემცირდა.

2020 წლის დეკემბერში საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 11.5% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 6.3%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით 5.2% შეადგინა, 1.5 %-ული პუნქტით მეტი წინა წლის დეკემბერთან შედარებით.



იანვარში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გაუფასურების ტენდენციას ავლენს.


2021 წლის იანვარში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.3%-ით გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ კი - 0.5%-ით. ამავდროულად გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება შედარებას გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, 2021 წლის იანვარში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 12.6%-ით, ევროს მიმართ კი 20.3%-ით გაუფასურდა.



4. რეგიონული მიმოხილვა

იანვარში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია მსგავსი დინამიკით ხასიათდება.


კერძოდ, 2021 წლის იანვარში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 15.0% შეადგინა. შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე რუსეთში (5.2%) და სომხეთში (5.5%). რაც შეეხება აზერბაიჯანს, 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასებმა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2.8%-ით მოიმატა.



იანვარში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აზერბაიჯანული მანათის გარდა, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურების ტენდენციას ავლენს, თუმცა განსხვავებული მასშტაბით.

კერძოდ, 2021 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა თურქული ლირა (20.0%-ით), რუსული რუბლი (16.9%-ით), სომხური დრამი (8.0%-ით). სანაგარიშო პერიოდში აზერბაიჯანული მანათი აშშ დოლართან მიმართებაში უმნიშვნელოდ გამყარდა (0.04%-ით).

გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება იანვარი 2021



თურქული ლირა რუსული რუბლი აზერბაიჯანული მანათი სომხური დრამი ქართული ლარი

შემაჯამებელი ცხრილი²



ზრდა



კლება



ცვლილება < 1%

	იანვ 20	თებ 20	მარტი 20	აპრილი 20	მაისი 20	ივნ 20	ივლ 20	აგვ 20	სექტ 20	ოქტ 20	ნოემბ 20	დეკ 20	იანვ 21
მშპ-ს ზრდის ტემპი													
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
ინფლაცია													
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
დეპოზიტების დოლარიზაცია													
სესხების დოლარიზაცია													
გაცვლითი კურსი													
გზავნილები													
ექსპორტი													
იმპორტი													
სავაჭრო ბალანსი													
საერთაშორისო რეზერვები													
შემოსავლები													
მიმდინარე ხარჯები													
კაპიტალური ხარჯები													

*ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

		იანვ 20	თებ 20	მარტი 20	აპრილი 20	მაისი 20	ივნ 20	ივლ 20	აგვ 20	სექტ 20	ოქტ 20	ნოემბ 20	დეკ 20	იანვ 21
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
სავაჭრო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

**ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან

² გაცვლითი კურსის ზრდა ნიშნავს გაუფასურებას, კლება გამყარებას.